საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 08 ოქტომბერი 2021 წ.

ბრძანება №01-08/47

2021-2022 სასწავლო წელს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბერის №481 დადგენილების, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01- 227/ო ბრძანებისა და „2021-2022 სასწავლო წელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 სექტემბრის N849376 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 01 ოქტომბრის MES 0 21 0001011252 ბრძანების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. 2021 წლის 11 ოქტომბრიდან სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში თეორიული მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე, გარდა საშემსრულებლო-პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კურსებისა, სასწავლო პროცესი გაგრძელდეს დისტანციურ რეჟიმში.
2. საშემსრულებლო მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის სწავლება 2021 წლის 11 ოქტომბრიდან განახლდეს არადისტანციურ რეჟიმში, საუნივერსიტეტო სივრცეში.
3. საშემსრულებლო მიმართულების თეორიული სასწავლო კურსების სწავლება დასაშვებია გაგრძელდეს დისტანციურ რეჟიმში სასწავლო ცხრილებში მითითებული ფორმატის შესაბამისად.
4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი განხორციელდეს დისტანციურ რეჟიმში.
5. არადისტანციურ რეჟიმში სწავლება განხორციელდეს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებისა და „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო

გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 ივნისის №01-08/26 ბრძანების შესაბამისად.

6. ელექტრონული სწავლების მართვის ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფს დაევალოს ელექტრონული სწავლების პროცესის ხელშეწყობა.

7. ფაკულტეტების ადმინისტრაციამ და დეპარტამენტებმა განახორციელონ ელექტრონული სწავლების მონიტორინგი და უზრუნველყონ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა.

8. პროფესორ-მასწავლებლებს დაევალოთ დროულად უზრუნველყონ ელექტრონული სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ქმედებები (სალექციო მასალებისა და დავალებების ატვირთვა, შემოწმება და უკუგება).

9. სტუდენტებს დაევალოთ აცრის დამადასტურებელი დოკუმენტაციის დეპარტამენტებში წარმოდგენა.

10. წინამდებარე ბრძანების აღსრულების კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსმა.

11. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბხსუ-ს ვებგვერდზე.

12. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.

13. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბხსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს, ფაკულტეტებს, ელექტრონული სწავლების მართვის ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30).

15. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **მ. ჭიჭილეიშვილი**